გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში დამატების შეტანის თაობაზე"

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვაში, მათ მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის სამართლებრივ რეგულირების საკითხებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვაში, მათ მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი დარეგულირება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ცვლილებით ხდება აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა. კერძოდ, ყოფილი პარლამენტის წევრების მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი ჩაითვლება უარყოფილად, რის შესახებაც წამყვანი კომიტეტის მიერ ეცნობება საქართველოს პარლამენტის ბიუროს, რომლის გადაწყვეტილებაც გაფორმდება საოქმო ჩანაწერით. შესაბამისად, 149-ე მუხლს ემატება მე-7 პუნქტი.

აგრეთვე ხდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის ამოქმედების გადავადება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის თანახმად სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი ან მოსაკრებელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

არ მოდის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაციებს/დაწესებულებებს, ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი.